ხელშეკრულება N 60-7-114-539

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 01.09 ---------- **2014 წელი.**

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში - **„შემსყიდველი“**), წარმოდგენილი რეაბილიტაციის მმართველის, **სულხან ზუმბურიძის** სახით და **სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახური“** (შემდგომში - **„მიმწოდებელი“**), წარმოდგენილი სამსახურის უფროსის მოადგილის, **გიორგი ბაბაკიშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც **„მხარეები“**, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „სპეციალიზირებული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის, დანერგვის, განვითარების, ადმინისტრირებისა და მომსახურების, აგრეთვე, საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის N297 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და, ასევე, მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;
2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე;
4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
5. „მიმწოდებელი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;
6. „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
7. „ხარვეზი“ - პროგრამული ან მონაცემთა ბაზის გაუმართაობა, რომელიც გამოწვეულია პროგრამული კოდის ან ბაზის სტრუქტურული ნაკლით და არ არის დაკავშირებული IT ინფრასტრუქტურის პრობლემასთან ან სისტემური ადმინისტრირების არასწორ/არასრულ განხორციელებასთან;
8. „სისტემა“ - საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა.

2. ხელშეკრულების საგანი

სისტემის განვითარება, მხარდაჭერა, ტექნიკური მომსახურება, მიმწოდებლის სერვერზე განთავსება და ადმინისტრირება შემსყიდველის არაუმეტეს **420 (ოთხასოცი)** მომხარებლისთვის (CPV72200000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს: **9100.00 (ცხრა ათას ასი) ლარს.** მომსახურების ფაქტობრივი ყოველთვიური ღირებულება განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N2-ის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.**4. მხარეთა ვალდებულებები**

1. **მიმწოდებელი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად **2014 წლის 1 სექტემბრიდან - 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით**.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე; აგრეთვე, დაუყოვნებლივ დაიწყოს ქმედითი ღონისძიებების გატარება აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორების მიზნით.

გ) განახორციელოს სატელეფონო კონსულტაციის გაწევა ცხელი ხაზის მეშვეობით, ხელშეკრულების დანართი N1-ის შესაბამისად.

დ) გეგმიური ტექნიკური სამუშაოების განხორციელების გამო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მომსახურების გაწევის დროებითი შეფერხების შესახებ წინასწარ წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (ელ.-ფოსტა: zurab.beselia@gse.com.ge) აცნობოს შემსყიდველს აღნიშნულთან დაკავშირებით, შეფერხების დროისა და მისი ხანგრძლივობის მითითებით.

ე) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

2. **შემსყიდველი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

გ) ხელი შეუწყოს „მიმწოდებელს“ წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ში გათვალისწინებული ტრენინგების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩატარებაში. ასევე,

უზრუნველყოს ტრენინგების ჩატარებისთვის შესაბამისი ადგილისა და თანამშრომლების გამოყოფა.

დ) წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ან მის შეწყვეტამდე 7 (შვიდი) დღით ადრე წარუდგინოს მიმწოდებელს ინფორმაციის შესანახი ტექნიკური მოწყობილობა, რომელზეც უნდა განთავსდეს მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვით, მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის დროებითი შეჩერების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეხსნება ყოველგვარი პასუხისმგებლობა ამგვარი შეჩერებით გამოწვეულ/შექმნილ ნებისმიერ უწესივრობაზე.

4. მიმწოდებელი წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში მომსახურების გაწევის მიზნით მიღებულ პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. მომსახურების ხარისხი

გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დანართი N1-ით განსაზღვრულ პირობებს.

6. მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება წარმოებს ყოველთვიურად, მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

7. ანგარიშსწორება

1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ყოველთვიურად ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულების ან მისი ცალკეული პირობების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებულ ზიანზე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიქმნება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10. დავების გადაწყვეტა

1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ:

   ა) მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

   ბ) ერთ-ერთი მხარის გაკოტრების შემთხვევაში;

   გ) თუ ერთ-ერთი მხარისთვის ცნობილი გახდება, რომ მეორე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდება, რაც შესაბამისად, მხარის მიმართ ნდობის დაკარგვის საფუძველს იწვევს.

2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

4. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში, ხელშეკრულების ფარგლებში დამუშავებული პერსონალური მონაცემები ან/და მონაცემთა ბაზაში არსებული სხვა ინფორმაცია, არქივირებული სახით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადაეცემა მომხმარებელს მის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციის შესანახ ტექნიკურ მოწყობილობაზე.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. შესმყიდველს ან მის წარომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

2. კონტროლი განხორციელდება გაწეული მომსახურების ხარისხისა და მიწოდების ვადების შესაბამისობით ხელშეკრულების პირობებთან.

3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე კონტროს ახორციელებენ: შემსყიდველის დისპეტჩერული და IT ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტის მენეჯერი და კანცელარიის უფროსი ქეთევან ღლონტი.

4. მომსახურების მიღების დროს აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს სათანადო ხარვეზის შესახებ.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14. სხვა პირობები

1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1 და დანართი N2 წარმოადგენს აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან მთლიანობაში.

2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე შემსყიდველს.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" **მისამართი:** თბილისი, ზარათაშვილის ქ. N2 **ტელეფონი:** 2510101 **ს/კ:** 204995176 **საბანკო რეკვიზიტები:** სს „საქართველოს ბანკი" **ბანკის კოდი:** BAGAGE 22; **ა/ა:** GE56BG0000000283534	სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური **მისამართი:** ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N 16 **ტელეფონი:** 226 10 72; 226 10 95 **საბანკო რეკვიზიტები:** კოდი: TBCBGE22, **ა/ა:** №GE63TB0650936080100001 **ს/კ:** 204577813
სულხან ზუმბურიძე რეაბილიტაციის მმართველი	**გიორგი ბაბაკიცვილი** სამსახურის უფროსის მოადგილე

დანართი N1

სისტემების დანერგვა, განვითარება, მხარდაჭერა, ტექნიკური მომსახურება, მიმწოდებლის სერვერზე განთავსება და ადმინისტრირება მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

დანერგვა

1. სისტემის ინსტალაცია;
2. სატესტო გაშვება;
3. სისტემის ადმინისტრირების (მომხმარებელთა აღრიცხვის, სტრუქტურის მომზადების, მომხმარებელთა გახსნის) ტრენინგი (ერთჯერ);
4. კანცელარიის თანამშრომელთა ტრენინგი (ერთჯერ);
5. ტრენერების მომზადება (ერთჯერ);
6. სისტემის გაშვება;
7. მომხმარებელთა სამუშაო ადგილებზე სისტემის ტექნიკური გამართვასთან დაკავშირებული კონსულტაცია.

მხარდაჭერა

1. სამომხმარებლო დოკუმენტაცია;
2. სატელეფონო კონსულტაციები სამუშაო დღეებში 10.00 სთ-დან - 19.00 სთ-მდე, ცხელი ხაზის მეშვეობით (ტელ: 1551);
3. შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ტრენერებისათვის შესაძლებელია განხორციელდეს 2 (ორი) დამატებითი ტრენინგი, მ.შ. დისტანციური სწავლება.

განახლება

1. ახალი ვერსიის გამოშვების შემთხვევაში დანერგილი სისტემის განახლება;
2. საჭიროების შემთხვევაში, სიახლეებთან დაკავშირებული ტრენინგი ტრენერებისთვის.

სისტემის განთავსება მიმწოდებლის სერვერზე, სისტემის ადმინისტრირება:

1. სისტემის განთავსება მიმწოდებლის სერვერზე;
2. სარეზერვო კოპირება;
3. დატვირთვის ბალანსირება;
4. სისტემის, ქსელური და უსაფრთხოების ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა.

შენიშვნა:

1 (ერთი) ტრენინგი (ერთჯერ) ნიშნავს - ერთდროულად მაქსიმუმ 15 (თხუთმეტი) „შემსყიდველი"-ს თანამშრომლის ტრენინგს (მეცადინეობას) 2 (ორი) საათის განმავლობაში.

„შემსყიდველი":	**„მიმწოდებელი":**
სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"	სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახური"
სულხან ზუმბურიძე რეაბილიტაციის მმართველი	გიორგი ბაბაკიშვილი სამსახურის უფროსის მოადგილე

დანართი N2

ფასთა ცხრილი

მომხმარებელთა რაოდენობა	ყოველთვიური ღირებულება (ლარი, დღგ-ს ჩათვლით)
321-დან - 340-ის ჩათვლით	1841,67
341-დან - 360-ის ჩათვლით	1950,00
361-დან - 380-ის ჩათვლით	2058,33
381-დან - 400-ის ჩათვლით	2166,67
401-დან - 420-ის ჩათვლით	2275,00

მომხმარებელთა მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 420-ს. მომსახურების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 9100.00 (ცხრა ათას ასი) ლარს დღგ–ს ჩათვლით.

„შემსყიდველი“:
სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

სულხან ზუმბურიძე
რეაბილიტაციის მმართველი

„მიმწოდებელი“:
სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახური“

გიორგი ბაბაჯანშვილი
სამსახურის უფროსის მოადგილე